№ 131 ივნისი 24, პარასკევი 1888 ივნისი 24, პარასკევი № 131

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 70
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი — ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ-ნ ხიდეკელის სავაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

გაზეთი „ივერია“ პირველ ივლისიდამ წლის დამლევამდე ღირს 6 მან.

ტფილისი, 23 ივნისი

ისე დღე არ გაივლის ხოლმე, რომ სოფლებიდგან რაიმე უსიამოვნო ამბავი არ მოგვივიდეს. მუდმივ მკვლელობა, ცარცვა-გლეჯა, ლოთობა და სხვა სამარცხვინო საქმე,—აი, ის სფერა, რომელშიაც ტრიალებს ჩვენი ცხოვრება. ამ საგნის შესახებ ჩვენ მრავალჯერ გვქონია საუბარი მკითხველთან და სიტყვით მაინც წინააღმდეგობა გავუწიეთ არა სანატრელს მოვლენას ჩვენის ცხოვრებისას, მაგრამ, რადგანაც აღნიშნული სენი მაინც მძვინვარებს, ამიტომ მოვალენი ვართ კიდევ იმავ საგანზე ჩამოვაგდოთ ლაპარაკი. ჩვენდა სასიამოვნოდ, თვით საზოგადოებაში თან-და-თან უფრო ხშირად გაისმის ხოლმე საჩივარი ამ გვარ სამწუხარო ამბების გამო და ეს იმისი საბუთია, რომ საზოგადოება ჰგრძნობს საკუთარს სენსა და ავკარგიანობას.

რასაკვირველია, თვითეულის მოვალეობაა, რაც შეიძლება საკმაო ბრძოლა გაუწიოს სიტყვით თუ საქმით ყოველ გვარს სენს, რომელიც უმოწყალოდ ღრღნის ჩვენს ცხოვრებას და ბოლოს უღებს ჩვენს ძალ-ღონესა და ნივთიერს შემძლებლობა'ს. ჩვენი განათლებული თაობა მოვალეა ყოველის ღონისძიებით შეებრძოლოს ჩვენის ცხოვრების დამჩაგვრელს გარემოებას, მაგრამ, როგორც ვიცით და იწერებიან, ეს თაობა არამც თუ არაფერს აკეთებს ცხოვრების განსაკარგებლად, არამედ თავისის საქციელით ხელს უწყობს ზოგიერთს სამარცხვინო მხარეს ჩვენის ცხოვრებისას. მოიქცევა თუ არა სოფელში ჩვენი ახალგაზდა, პირველ ხნობით, მართალია, ცოტად მაინც ებრძვის უმეცრებას, უმართებულობას და სხვა გვარს სენს, მაგრამ დროს განმავლობაში ჰკარგავს ბრძოლის ხალისს და შესცურავს ხოლმე იმ უსინათლობის მორევში, რომელიც მეფობს ჩვენს დაბა-სოფლებში. ლოთობა, ქაღალდის თამაში, ჭორიკანაობა, უსაქმობა,—აი რა არის საგანი იმათის ცხოვრებისა. რასაკვირველია, რაკი ერთხელ ამ გვარს ცხოვრებას და საქციელს დაიმკვიდრებს განათლებული ადამიანი, სხვებიც იმას ჰბაძავენ. აბა რისთვის არ უნდა მიჰბაძონ, როდესაც იგი «განათლებული» კაცია, სამსახურში იმყოფება და ასე თუ ისე საპატიო ადგილი უჭირია. მართლაც ჰბაძავენ, რადგანაც არ ესმისთ, ვინ არის ნამდვილი განათლებული კაცი, რა არის განათლება, მართებულობა, პატიოსანი ცხოვრება. იმათთვის საკმაოა, თუ ევრედ წოდებული განათლებული ადამიანი ევროპიულს ტანისამოსს იცვამს, უცხო ენაზე ლაპარაკობს, მსახურობს და საკმაო ჯამაგირს იღებს.

ჩვენის აზრით, ბევრად უფრო შესაწყნარებელნი არიან თვით მიმბაძველნი, რომელთაც არ უწყიან, რასაც იქმონან, ხოლო გასაკიცხნი არიან ისინი, ვისაც მოვალეობად ადევს თავის გარშემო ნათელი მოჰფინოს და სხვებსაც ცხოვრების საგანი და აზრი აპოვნინოს. ჩვენ დიდი იმედი გვქონდა, რომ, მაგალითად, სოფლის მასწავლებლები შეძლებისადა გვარად გაუწევდნენ ბრძოლას ყოველ გვარს უსინათლობას, მაგრამ, როგორც ისმის, თვით ბ-ნნი მასწავლებელნიც თან-და-თან ეჩვევიან სხვა-და-სხვა უწესოებასა და უმართებულებას. ასე გასინჯეთ, ხშირად შემოგვჩივიან ხოლმე, რომ ესა-და-ეს მასწავლებელი, იმის მაგივრად, რომ რიგიანობის მაგალითი უჩვენოს სოფელსა, ურიგოდ და შეუფერებლად ატარებს დროს, არა თაკილობს არც ლოთობას, არც ქაღალდის თამაშობას და არც ყოველსავე, რაც ამას მოსდევსო.

რა თქმა უნდა, რომ ამ გვარის საქციელით ბ-ნნი მასწავლებელნი ძირს უთხრიან თავიანთს წმინდა მოვალეობას და დანიშნულებას, ჰკარგავენ საზოგადოების ნდობასა და პატივისცემას და თავიანთს თავსაც ჰღუპავენ. ურიგოს არ იზამდნენ მასწავლებელნი, რომ ამ გარემოებას ჩაუკვირდნენ, მოიგონონ თავიანთი მოვალეობა და ხელი აიღონ ყოველ გვარ უმართებულობაზე. ვგონებთ იმათ შორის ისეთი უგუნური არავინ იყოს, ვისაც ლოთობა, ქაღალდის თამაშობა და სხვა ამ გვარი კარგ, საქებურ საქმედ მიაჩნდეს. მხოლოდ საჭიროა მხნეობა მოიკრიბონ, მაცდურს ძალას არ დაემორჩილნენ და იმ წერტილზე დასდგნენ, რომელზედაც დგომა იმათთვის სავალდებულოა. იმათ უნდა მოიგონონ, თუ რა წმინდა და ნათელის განზრახვით მიეშურებოდნენ სოფლებისაკენ, რა მხურვალებით მოეკიდნენ თავდაპირველად თავიანთს საქმეს, და აგრეთვე ის თანაგრძნობა და სიყვარული, რომელიც პირველ ხნობით დაიმსახურეს.

ა. ს—ი

◆

ახალი ამბავი

⁂ პროფესორი ოდესის უნივერსიტეტისა, ბ-ნი ვ. პეტრიაშვილი, სტუდენტებ-თურთ ამ ჟამად ტფილისში იმყოფება. გუშინწინ, 22-ს ივნისს, ამ ამხანაგობას დაუთვალიერებია თავ. ზ. ჯორჯაძის სარდაფი. გუშინ საღამოს 11-ს საათზე პეტრიაშვილი წავიდა ქ. ბაქოს.

⁂ ჩინელები იშვიათი სტუმრები არიან ჩვენის ქალაქისათვის. სამი ასეთი სტუმარი სწვევია ამ ჟამად ტფილისს, ერთი მათგანი თურმე ფინანსთა მინისტრია და მეორე ფილოსოფიის დოქტორი. ერთმა გვარიანად იცის რუსული ენა, რომელიც პეკინის აკადემიაში შეუსწავლია. იმათის მოგზაურობის საგანი სხვა-და-სხვა ქვეყნებისა და იმათის ყოფა-ცხოვრების დათვალიერება და შესწავლაა თურმე, როგორც გვაცნობეს.

⁂ როგორც შევიტყეთ, ქუთაისში აპირებენ ტფილისის დრამატიულის საზოგადოების განყოფილების დაარსებას. უკვე დაუწყიათ მიწერ-მოწერა და აქაურებსაც თანაგრძნობა გამოუცხადებიათ და დახმარება აღუთქვამთ. როგორც შევიტყვეთ, ქუთათურები ქართულს თეატრს ძლიერ ეტანებიან და სწორედ დიდს სარგებლობას მოუტანენ იმერთა საესთეტიკო გრძნობის განვითარებას, თუ ქართულს თეატრს ისე დაამყარებენ მაინც, როგორც დედა ქალაქშია. დღემდე ქართულის თეატრის ბედ-იღბალი კერძო კაცთა ხელში იყო და საქმის ავკარგიანობისა არაიცოდა-რა საზოგადოებამ. ამიერიდამ-კი, თუ ღმერთმა გვიღხინა და დაარსდა ხსენებული განყოფილება, თეატრის ნივთიერიცა და სასცენო შეძლებაც ნათლად გამოჩნდება და თვით საქმესაც დაეტყობა წარმატება და უბრალო შემთხვევაზე საქმე აღარ იქნება დამოკიდებული.

⁂ ამ ჟამად დიდი ლაპარაკია ამიერ-კავკასიის ნავთის მილის თაობაზე. კონცესიონერებს ვერ უშოვნიათ ფული მილის გასაყვანად ვერც საფრანგეთსა და ვერც ინგლისში. ამიტომაც კონცესიონერებს განზრახვა აქვსთ სთხოვონ მთავრობას, რომ გადა-

---

ფელეტონი

ნაჯახი

აუერბახის მოთხრობა

უხსოვარის დროიდამ ტყის გლეხთ უფლება და ჩვეულება ჰქონდათ პაწია ნაჯახის ტარებისა მარცხენა მხარ-ბეჭზე, მოგზაურობის დროს. ეს უფლება მხოლოდ მამაკაცთ, სახელდობრ ცოლიან კაცებსა ჰქონდათ. ხალხის აზრით, ეს ჩვეულება მომდინარეობდა იმ დროიდგან, როცა ყველანი შეიარაღებულნი დადიოდნენ.

ერთხელ, სულის წმინდის მოფენის პირველს დღეს, მაზრის ყველა სოფლებში შავს ფიცარზე გამოაკრეს შემდეგი განცხადება სოფლის კანცელარიების წინ.

„რადგანაც მრავალი დანაშაულობა წარმოსდგება ხოლმე ნაჯახის არა-კანონიერ ტარებისაგან, ვაცნობებთ ხალხსა ამ განცხადებით შემდეგს: დღეიდგან, ვინც ატარებს ქუჩაში, ანუ ტყეში ნაჯახს, ვალდებულია დაწვრილებით აუხსნას მოხელეს ანუ ტყის მცველს, თუ რისთვის, ანუ რა აზრით ატარებს იგი ნაჯახს, და თუ იგი საკმაო საბუთს ვერ წარმოადგენს, მაშინ გარდახდება ჯარიმა, პირველ შემთხვევისათვის ერთი მანეთი, მეორისათვის —სამი და შემდეგისათვის დაპატიმრებულ იქმნება რვა დღიდგან ერთს თვემდე.

უფროსი მსაჯული რეღლინგს“.

დიდ-ძალი ხალხი იყო შეკრებილი მწუხრის შემდეგ კანცელარიის წინ. მათე, რომელიც ეხლა ცოლიანებში ითვლებოდა, კითხულობდა ხმა-მაღლა ამ ბრძანებას. ყველანი თავს იქნევდნენ და დაბალის ხმით რაღასაც ბუტბუტებდნენ. ამ დროს ხმა-მაღლა წამოიძახა გადამდგარმა მამასახლისმა:

— ეს არ მოხდებოდა წინანდელს დროში, ეს ჩვენი უფლებაა.

ამ დროს დაინახეს სოფლის ზემოდგან არხეინად მომავალი ბუხმაიერი, რომელსაც თან ჰქონდა თავისი ნაჯახი. ბუხმაიერი იყო ძვალ-მსხვილი, ჯერ კიდევ ყმაწვილი, მორჩილის ტანისა, მაგრამ ბეჭებ-განიერი და მძლავრის აგებულების ადამიანი.

თავი ერთობ პატარა ჰქონდა, სახე და განსაკუთრებით ტუჩები და ნიკაპი-კი ერთობ ნაზი და ლამაზი. იმისი წყაზარი და ჟუჟუნა თვალები გვიმტკიცებდა გონების გამჭრიახობას და ვაჟკაცურს გაბედულობას. მათე მიეგება ბუხმაიერს და აუხსნა ბრძანების შინაარსი.

— ჩემო ბიძაშვილო, თქვენ თუ ნამდვილი მზრუნველი ხართ თემისა, ამ საქმეს ასე არ დააგდებთ.

ბუხმაიერი მიუახლოვდა საზოგადოებას იმავე დინჯის ნაბიჯით და მიჰმართა პირდაპირ შავს ფიცარს. ყველანი უკუდგნენ, რომ ეცლიათ იმისათვის განცხადების გულ-დასმით წაკითხვა. გადიწია შუბლზე ქუდი. ყველამ განაბა სული. როცა გაათავა კითხვა, ერთი ლაზათიანად დაიკრა თავში ხელი ქუდის დასამაგრებლად, და ეს ხომ გამბედაობის მომასწავებელი იყო. მერე აიღო აუჩქარებლივ ნაჯახი და შიგ შუაგულ ფიცარში ჩაარჭო. შემდეგ მიუბრუნდა იქ მდგომთ და უთხრა:

— ჩვენდა დაუკითხავად და საქმის გამოურკვევლად ამ ნაირის ბრძანების გამოცემა შეუძლებელია. მე მსურს გავიგო: ნუ თუ სოფლის მწერლები ითვლებიან მოთავედ და ჩვენ-კი მაჩანჩალებადაც აღარ გვაგდებენ. ჩვენ ამას ვერ მოვითმენთ. ვინც ჩემი აზრისაა, აიღებს ამ ჩემს ნაჯახს და ამ ფიცარშივე ჩაასობს.

მათეს სურდა პირველად წაევლო იმისთვის ხელი, მაგრამ ბუხმაიერმა უთხრა:

— აცალე ჯერ მოხუცებულებსაო.

ამ სიტყვებმა იქონიეს გავლენა ლაჩრებსა და ყოყმანა კაცებზე, რომელნიც განცვიფრებულნი იყვნენ ბუხმაიერის საქციელით და რომელთაც არ იცოდნენ, თუ როგორ მოქცეულიყვნენ. გადამდგარმა მამასახლისმა პირველმა დასცა ნაჯახი ფიცარს და მერე სხვებმაც მიიღეს მონაწილეობა; არც ერთს არ დაუხევია უკან. თან-და-თან შეიკრიბა ხალხი და მთელი სოფელი მოძგრიალდა. ახლად მოსულნი, წაქეზებულნი ამ ამბით, სიცილით და ხარხარით ჰბაძავდნენ წინანდელებს.

მამასახლისმა, რა-კი ეს ამბავი გაიგო, მოინდომა მოხელეთა მოწვევა, მაგრამ იქა არა ჰყავდა თავისი ჭკუის კოლოფი, სოგესი, რომლის გონიერება საარაკო გამხდარიყო! იმან ურჩია მამასახლისს თავი დაენებებინა უსარგებლო საქმისათვის. ის არა სჯობიაო, ეუბნებოდა გაიძვერა და დახელოვნებული სოგესი,—რომ გაეხვიონ კარგად სულელებიო. მერე ჩვენ შევეხვედება იმათთვის აუარებელ უწყებების დარიგება და თითოეულს უწყებაზე ორ-ორ შაურს ავსწაპნითო.

სამშაბათს თემის მოთავე კაცები, გადამდგარის მამასახლისის ჩაგონებით, თავის თავად მივიდნენ მსაჯულთან და გამოუცხადეს ნამოქმედარი. დიდმა მსაჯულმა დასჭექა და მოჰყვა ლანძღვა-გინებას. ეხლავე დაგაპატიმრებთ ყველას, ხელ-ფეხ შევიბოჭავთო!—ემუქრებოდა მსაჯული მაგრამ ბუხმაიერი უშიშრად წარსდგა იმის წინაშე.

— ამის მეტს ვერას გვეტყვით? ჩვენ დაგვაპატიმრებთ? ენახოთ. ჩვენ აქ მოვსულვართ ურჩობის განსაცხადებლად. ჩვენ აშკარად აღვიარეთ ჩვენი ნამოქმედარი, წინ-და-წინ ჩვენს დაპატიმრებაზე ლაპარაკი უადგილოა. ჩვენ ხომ მაწანწალა ვინმე არა ვართ; თქვენ კარგად იცით, სადა ვცხოვრობთ. მე გახლავარ ბუხმაიერი, აი ბეკი, აი კიდევ მჭედელი ივანე და ბაში მიხელაშვილი. ჩვენ ყოველთვის გვიპოვიან ჩვენს ადგილ-მამულზე, როცა საჭირო იქნება. ჩვენი დაპატიმრება შეუძლებელია საქმის განუსჯელად. იმ შემთხვევაშიაც-კი ჩვენ შეგვიძლიან საქმის გადატანა უმაღლესს სასამართლოში.

მსაჯული შეუდგა გამოძიებას და დაიბარა იგინი მეორე დღის ცხრა საათისათვის. ამ საქმის გადადებას სახეირო ის მაინც მოჰყვა, რომ სოგესს ასცილდა უწყების დარიგება და ფულის აწაპნვა.

მეორე დღეს სწორედ სალაშქრო შეხედულება მიიღო სოფელმა, როცა ასიოდე ნაჯახით დაიარაღებულმა გლეხმა ჩამოიარა. დრო გამოშვებით იგინი ხერდებოდნენ რომლისამე სახლის წინ ჩამორჩენილების დასაჩქარებლად, მაგრამ მასხრობა და ოხუნჯობა შესწყდებოდა ხოლმე, როცა ბუხმაიერი მოხუშავდა წარბებს. დიდი მსაჯული ფანჯარიდგან იყურებოდა შინაურს ტანისამოსში და ხელში დიდი ჩიბუხი ეჭირა. ამ დროს მოჰკრა თვალი ხალხს, უეცრად დახურა ფანჯარა და გაექანა ზარის დასარეკად, მაგრამ, რადგან ყოველ-

დებულ იქმნას ვადა გირაოს შეტანისა. როგორც ამბობენ, ეს გარემოება გამოწვეულია იმით, რომ პეტერბურგში უნდა მოვიდნენ წარმომადგენელნი ამერიკის სანავთო ამხანაგობისა (Standard oil Company), რომელსაც ხელში აქვს მთელის ამერიკის ნავთის ვაჭრობა. ეს ამხანაგობა იმდენად მდიდარია, რომ როტშილდიც ვერ გაუწევს წინააღმდეგობას. ამ ამერიკელ ამხანაგობას განზრახვა აქვს მოურიგდეს კონცესიონერებს, ესე იგი ხელში უნდა ჩაიგდოს რუსეთის ნავთის წარმოებაცა.

⁂ აგერ თითქმის ერთი თთვეა, რაც სოფელს სტეფან-წმინდაში ყვავილი მძვინვარებს. სამი სული უკვე კიდეც იმსხვერპლა და დანარჩენები-კი, რიცხვით 20-ოდე კაცი, ჯერ ავად არიან. როგორც ლაპარაკობენ, ეს ყვავილი ფერით ჩვეულებრივს ყვავილზე თურმე უფრო შავია. მაზრის ექიმიც თავისს დროზე მოვიდა, მაგრამ ყვავილმა მაინც თავისი არ დაიშალა და დღითი-დღე ვრცელდება.

საჭიროა, ეხლავე ათხოვონ ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება, თორემ შესაძლოა სხვა სოფლებსაც მოედვას.

⁂ ფოთი: აქაურმა ქრისტიანმა ვაჭრებმა 1880 წელს სთხოვეს მთავრობას, რომ მათთვის ნება მიეცათ კვირა-უქმე დღეს დაკეტილი ჰქონოდათ მაღაზიები. ეს იმიტომ ითხოვეს, რომ წირვა-ლოცვის მოსმენაც შესძლებოდათ და დასვენებაცა. მთავრობამ შეიწყნარა ეს სათხოვარი და კიდევაც მოსწერა ფოთის მართველობას, რომ კვირა-უქმეს მაღაზიები დაკეტილი ყოფილიყო დილის ცხრა საათიდგან ნაშუადღევის ხუთ საათამდე. ეს ბრძანება კიდევაც მოქმედობდა ერთის წლის განმავლობაში, მაგრამ შემდეგ-კი დაივიწყეს, ზოგიერთებმა იწყეს მაღაზიების გაღება ნაშუადღევის პირველს საათზე და ამ ზოგიერთებს სხვებიც მიჰყვნენ, რადგანაც ზარალისა ეშინიათ. ურიგო არ იქნება, აქაურმა პოლიციამ ყურადღება ათხოვოს ამ ამბავს და მტკიცედ შესრულებულ იქმნას მთავრობის განკარგულება და აქაურის ვაჭრების სურვილი.

⁂ ამ დღეებში VII განყოფილების პეტერბურგის სასამართლოსას დაუმტკიცებია ანდერძი აწ გარდაცვალებულის ნავთის-მწარმოებელისა, ლიუდვიკო ნობელისა. განსვენებულის ქონება დაუფასებიათ 4.800,000 მანეთად. სასამართლოს ხარჯი აუღიათ 48,000 მანეთი (Н. В.).

⁂ იგივე გაზეთი გვაცნობებს, რომ გადაწყვეტილია მთელს კავკასიაშიაც შემოიღონ ის წესი და რიგი ზურგის ჯარის კაცების მოწვევისა სამსახურში, რომელიც იმპერიის სხვა ადგილებშიაც ჰმოქმედობსო.

◆

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

ზუგდიდი, 20 ივნისი. შაბათს, 11 ივნისს, დავესწარი აქაურ ერთ-კლასიან საქალებო სასწავლებელში ეგზამენს, რომლის მოსასმენად თითქმის მთელს აქაურს ინტელიგენციას თავი მოეყარა. სასწავლებელში ამ ჟამად სამი განყოფილებაა და მოსწავლეთა რიცხვი-კი 32. ამათმა გამოცდამ ხუთ საათზედ მეტი გასტანა, მაგრამ ამ დრომ ისე შეუმჩნევლად გაირბინა, რომ, როდესაც ეგზამენები გათავდა, ფეხები უარს იყვნენ სკოლის დარბაზიდგან გასვლას. ეს ხუთი საათი-კი ისე გაფრინდა, რომ თითქო ერთმა წუთმა გაიარაო, ისეთი დაუვიწყარი და სასიამოვნო შთაბეჭდილება იქონიეს ამ პატარა „ბლარტების“ მკაფიო, დაკვირვებულმა, დაფიქრებულმა და დინჯმა პასუხის მოგებამ თითქმის ყოველსავე საკითხავზე, რაც-კი მოესწროთ ამ ცოტა ხნის განმავლობაში და ესწავლათ. ვიდრე ეგზამენი დაიწყებოდა, მანამდის-კი ამ პატარა ქალების ნაქსოვი ყაისნაღით და ნაქარგი ნემსით დავათვალიერე და გავსინჯე და სწორედ რომ ალტაცებაში მომიყვანა, ისეთის დახელოვნებით შეესწავლათ ქსოვა-ქარგვა.

რადგანაც ამ სკოლის ეგზამენზედ ჩამოვაგდე ლაპარაკი, ამისათვის ამ სკოლის მდგომარეობასა, და ვითარებაზედაც უნდა ვსთქვა რამდენიმე სიტყვა. დაბა ზუგდიდის მკვიდრნი ყველანი ერთობით განსაკუთრებით ვაჭრობას მისდევენ, რის გამოც იმდენად შეძლებულნი და გაუჭირებელნი არიან ნივთიერად, რომ თამამად და სრულიად შეუწუხებლად შეუძლიანთ ოთხ-კლასიანი სავაჟო და საქალებო სასწავლებლები იქონიონ და შეინახონ. მაგრამ, სამწუხაროდ, სრულიად სხვა მოვლენას-კი ვხედავთ. შეიძლება ის იყოს მიზეზი, რომ მოთავე არა ჰყავდეს ამ ფრიად სასარგებლო საქმისათვის. სავაჟო ორ კლასიანს სასწავლებელზედ არაფერს ვიტყვი ამ ჟამად, რადგანაც ის მართებლობის ხარჯზედ არის; საქალებო სასწავლებელი-კი, როგორც ზემოდ არის ნათქვამი, მხოლოდ ერთ-კლასიანია: ამ სასწავლებლისათვის აქაურნი მკვიდრნი არაფერსა ჰხარჯვენ. სახლის ქირა, მასწავლებელის ქალის ჯამაგირი და ყოველივე ხარჯი, რაც-კი სასწავლებლისათვის საჭიროა, აგერ სამს წელიწადზედ მეტია, რაც პრინცესა მიურატისამ იკისრა. ფრიად დიდის მადლობის ღირსია პრინცესა მიურატისა, რომ ეგეთის დედობრივის თვალით უყურებს ამ მოზარდს თაობას და არა სტოვებს მათ უსწავლელად. დიდ სასურველია, რომ რაც შეიძლება მეტი აღმოუჩნდეს საქართველოს პრინცესა მიურატისთანა გულის შემატკივარნი. ვისურვებ წრფელის გულით, რომ აქაურთა მკვიდრთა მხარი მისცენ პრინცესას და თუ ოთხ-კლასიან სასწავლებლად არა, ორ-კლასიანად მაინც გადაკეთდეს ეხლანდელი ერთ-კლასიანი სასწავლებელი, და ამით რიგიანი ქალები მოამზადონ სამშობლოსათვის.

ქუთათური დათიკო

◆

ყიზლარი*), 5—14 ივნისი. ყიზლარი ახალი ქალაქია—მხოლოდ ორი საუკუნის სიცოცხლე მიუძღვის წინ. იგი სძევს მდინარე თერგზე, რომელიც ამ ქალაქთან რამდენსამე ტოტად იყოფა. თვითოეული ტოტი ბევრად დიდია ჩვენს მტკვარზე ტფილისთან და იმდენად ღრმაა, რომ ამ ზაფხულს ადგილობრივმა მთავრობამ განიზრახა კასპიის ზღვის ბრიანსკის ნავთსადგურიდამ გემის გამოტარება ერთს ტოტზე, რომელსაც ეწოდება ტალოვკა. უკანასკნელი მეხუთე ტოტი თერგს გამოუხეთქნია 1858 წ. ამ ტოტს უწოდებენ პრორვას (Прорва). მთელი ქალაქი მდინარეზე ბევრად ქვეით სძევს; ამიტომაც თერგი მუდამ უქადის ყიზლარს წალეკვასა და განადგურებას. ამ გვარის მდებარეობით აიხსნება ის მრავალი დამპალი ჭაობები, რომელიც შუა ქალაქში სძევს და გარშემო არტყია. მყრალი, მძიმე ჰაერი ჭაობებისა არის მიზეზი ციებცხელებისა, ფილტვების ანთებისა, ჭვალისა და სხვა გადამდებ ავადმყოფობისა, რომლითაც ესრედ გათქმულია ქ. ყიზლარი. ამ ჭაობებში დაუფუძნებიათ კოღოებს თავიანთი ბუდე და ულმერთოდ დაჰპატრონებიან მთელს ქალაქს და იმის ახლო-მახლო ადგილებს. როცა ქარი არა ჰქრის, ქუჩაში გამოსვლა შეუძლებელია: ხელებს, კისერს, პირი-სახეს ისე ულუღუდებენ კოღოები, რომ ახლად მოსულს კაცს სიმსივნედ გადაექცევა ხოლმე. ყიზლარელები-კი კვეხულობენ, რომ იმათ ხორცი გაუმაგრდათ და კოღოები ველარ ჰმოქმედობენ იმათზე, ველარას აკლებენ იმათს ღვინოში შეზელილს ბუნებას.

ყიზლარს ჩვენთვის აქვს განსაკუთრებითი მნიშვნელობა ქართველები ამ ქალაქში, როგორც მოზდოკში. ბევრნი არიან, თუმცა იმათი რიცხვი საგრძნობლად კლებულობს ამ უკანასკნელ ათი-ოცის წლის განმავლობაში. ქართველები დასახლებულან იმ დროსვე, როცა ქალაქი აუშენებიათ. ამას ამტკიცებს სხვათა შორის მიცვალებულთა ძეგლნი, რომელთა ზედწარწერანი ეკუთვნიან წარსულს საუკუნის ნახევარს და გასულს. ზედწარწერანი იმ ხასიათისავეა, როგორც ჩვენში: „მოიხსენე უფალო გვამი აქა მდებარე ბერძენოვისა, რომელიც გადმოსულვარ საქართველოდამ“ (წლები ამ ძეგლებისა 1753, 1780, 1794 და სხვა). ქართველები გადმოსახლებულან აქ მაშინ, როცა ყიზლარი ჯერ ქალაქად არ იყო აღიარებული. ეხლანდელი ყიზლარი აშენებულია 1735 წ. შემდეგ ტრაქტატის შეკვრისა სპარსეთთან, რომლითაც რუსეთმა დაუბრუნა სპარსელებს წართმეული ადგილები. მაშინ სამზღვრად რუსეთსა და სპარსეთს შორის დადებულ იქმნა მდ. თერგი, რომელზედაც ააშენეს ციხეები და სხვათა შორის ყიზლარიც. ქართველთა რიცხვი ჯერ 1724 წელსვე იმდენად ბევრი ყოფილა, რომ პეტრე

---

*) ყიზლარი თათრული სიტყვაა და ჰნიშნავს ქალებს.

თვის დეზები ეკრა ფეხებზე, წამოედვა ფარდას, გაეხვია შიგ და ქღვერთა მოადინა იატაკზე. იმის გვერდით ეგდო იმისი იარაღი ჩიბუხი. იგი მსწრაფლად წამოვარდა ზეზე, აფრინა შიკრიკი ადგილობრივს უფროსთან და სთხოვა კაცები გამომიგზავნეო. სამწუხაროდ, იმ დროს იქ ოთხის ყარაულის მეტი არ იყო. ეს კაცები იმან ოთახში დააყენა და უბრძანა: თითო კაცის მეტი არ შემოუშვათ ოთახშიო.

პირველად მოიწოდეს ბუხმაიერი. იმან შემოაღო კარები და გაჩერდა.

— დილა მშვიდობისა, ბატონო მსაჯულო!—მისცა სალამი ბუხმაიერმა.

ამ დროს მიუბრუნდა გარეთ დარჩენილს ამხანაგებს და უთხრა.

— შემოდით თქვენც, ჩვენი საქმე საერთოა. მე მარტო ჩემთვის როდი მოვსულვარ.

სანამ მსაჯული გონს მოვიდოდა ოთახი აივსო გლეხებით. ყველა იმათგანს ჰქონდა თითო ნაჯახი მარცხენა მხარზე.

ბუხმაიერმა მიაშურა დივანს, გაუშვირა ხელი და უთხრა:

— დასწერეთ, რაცა ვსთქვა; საჭიროა უმაღლეს მართებლობამაც გაიგოს ყველაფერი.

ორჯელ გაისწორა საყელო, დააბჯინა მერე ხელი მწვანე სუფრაზედ და დაიწყო ასე:

— დიდის მოწიწებით მოგახსენებთ, ბატონო მსაჯულო! თქვენ ხართ ჩვენი უფროსი და ჩვენ თქვენი გამგონე უნდა ვიყვნეთ, როგორც მოითხოვს კანონი. მთავრობა კეთილი და სამართლიანია. იგი არ მოინდომებს ჩვენს დაჩაგვრას და იმას, რომ მოგვიჩინოს გადიები, როგორც ბლარებს. ეს სულ წვრილ-ფეხა მოხელეების საქმეა. იგინი სიამოვნებენ იმით, რომ ბრძანებლობას თამაშობენ. ჩვენ იმ დროსაც მალე მოვესწრობით, როგორც ეტყობა, რომ გამოსცენ ბრძანება, თუ როგორ უნდა იკრიახოს ქათამმა კვერცხის დადების დროს. მაშ მე მოგახსენებთ, რომ საჭიროა ერთხელ მაინც ითქვას ჭეშმარიტება და თვალი გავახილოთ. თემის რჩევას არაფრად აგდებენ. ყველაფრის გარიგებას ლამობენ ქაღალდის წერით. ვიღაც მოთრეული ლაწირაკი მწერალი მთელს სოფელს ატრიალებს. გაიხედავ ცოტა ხანს უკან და ეს ლაწირაკები მამასახლისობას იგდებენ ხოლმე ხელში. ვინ ამბობს, წესიერება საჭიროა, მაგრამ ესეც საცოდნელია: უკეთ არ იქნებოდა ყველაფერი, რომ ეს მჯღაბნელები არ ამტუტებდნენ აქაურობას? ამას გარდა, ჩვენ სულ გამოტვინებული როდი ვართ, თავებით როდი ვეხობით და კისერს როდი ვიტეხთ, და თუ განათლებულების ენით ვერა ვლაპარაკობთ, ჩვენ საქმეებს კარგად ვარიგებთ. მართალია, საჭიროა განათლებულის კაცების მოთავეობა, რომ ყველაფერზედ თვალ-ყური ჰქონდეთ, მაგრამ მოქალაქეთ ეკუთვნით თავიანთის საქმეების გამგებლობა.

— საქმეზედ ილაპარაკეთ, საქმეზედ,—გააწყვეტინა მსაჯულმა.

— საქმეზედ მოგახსენებთ. თქვენ ისე გაგიტაცათ ქაღალდების წერამ, რომ აღარც-კი იცით, თუ რა ქაღალდი უნდა გამოსცეთ. თქვენ იქამდის წახვედით, რომ ყველაფერში წინდა-წინ გვაფრთხილებთ, ყველაფერს გვიკრძალავთ, ყველაფერში ხელს გვიცრით. ბოლოს იქამდინაც მიხვალთ, ვგონებ, რომ ყოველ ხის ძირს თითო დარაჯს დააყენებთ, რათა აღუკრძალონ ხეებს ქართან ომი. თუ ბრძანებლობას არ მოიშლიან, ჩვენც იძულებულნი ვიქნებით შევკრიბოთ ჩვენი ბარგი-ბარხანა და გავუდგეთ გზას. ყველაფრის წართმევა მოინდომეთ, მაგრამ არის ერთი რამ, რასაც ვერას გზით ვერ დაგითმობთ.

იმან გაიქნია თავს ზემოთ ნაჯახი და განაგრძო.

— რაც უნდა მოგვივიდეს, მე მაინც ხელს არ გავუშვებ ამ ნაჯახს. ანკი რისთვის უნდა წაგვართვან ეს უფლება? ტყეების დასაცველად? განა არა გვყავსთ ამისთვის მიჩენილი ტყის მცველები, არა გვაქვს ამისათვის გამოცემული კანონები და დანიშნული სასჯელი? რამდენი კბილია საჭირო გლეხისათვის პურის საჭმელად? მაშ მოდით, დააძრეთ იმას დანარჩენი, რომ იგი მაცდურმა არ შეაცდინოს და ხორცი არ მოაპარვინოს. რად აძლევთ ნებას, რომ ბასრ კბილიანი ძაღლები ქუჩა-ქუჩა დარბოდნენ? როცა ბავშვი გახდება რვა, ანუ ცხრა წლისა, იმას მისცემენ ხოლმე დანას; თუ თავად დაიშავებს რასმეს, ვაი იმის გუნებას; თუ სხვას ავნებს კარგად გასწკეპლენ. ვინ მოგახსენათ მერე, რომ ჩვენ ბავშვებზედ უფრო რეგვენები ვიყოთ. ჩვენ გაძლევთ თქვენ ფულს და გვინდა, რომ წესიერება იყოს დაცული სოფლად; თქვენა ხართ სახელმწიფო მოსამსახურენი და ჩვენ კი სახელმწიფოს წევრნი ვართ. მე დავსდებ ჩემ თავს, ჯალათს მოვაკვეთინებ აი ამ ნაჯახით, ვიდრე ნაჯახს წაგვართმევდეს ვინმე. მე გავათავე.

დაურღვეველი მყუდროება სუფევდა დარბაზში. მაყურებელნი თვალებით ანიშნებდნენ, თითქო ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს:

ბაშმა წასჩურჩულა ყურში ხაბაზს ბეკს:

— აი, სწორედ ამ დროსთვის არის ნათქვამი: „კარგს მოლაპარაკეს კარგი გამგონე უნდაო“. ძალიან მისცხო, შენ ნუ მომიკვდები.

— არა, მართალი გითხრა, ამ ჩვენ ბუხმაიერს ენა არ გადუყლაპავს.

მსაჯული მოჰყვა ტკბილისა და შემპარავის კილოთი ლაპარაკს, ზოგს მოეფერა, აქო იმათი გონიერება და მშვიდი ხასიათი. აძაგა იმისთანა კაცები, რომელნიც ხალხს აშფოთებენ, აუხსნა მოვალეობა და ვალდებულება კანონისა და ხელმწიფის წინაშე. დააფიცა იმათ ცოლ-შვილი და ნათესავები, რომ ამ სიდიდე პასუხის გება არ ეკისრნათ თავისდა საუბედუროდ და გამოტეხილად ეღვიარებინათ თავიანთი შეცდომილება, რომ იგინი აჰყვნენ ორიოდე მოუსვენარს კაცსა, და ამ ნაირად ცოტაოდენი სასჯელით გაენთავისუფლებინათ თავი. ყველანი თავ-ჩაღუნულნი იყვნენ და არ იცოდნენ, რა ექმნათ. მხოლოდ ერთი ბუხმაიერი იყო თავაღებული, მედიდურის სახით, და შეუპოვრად უყურებდა ყველას. მათეს უნდოდა ლაპარაკი, მაგრამ ივანე მჭედლმა პირი დაუმუწა. ამ დროს წარმოსდგა მოხუცი, გადამდგარი მამასახლისი, და მძიმე ნაბიჯით მიუახლოვდა მაგიდას მწვანე გადასაფარებელს.

— მადლობას მოგახსენებთ, ბატონო, იმ სიტყვებისათვის, რომელიც თქვენ დახარჯეთ ჩემთვისაც და სხვებისთვისაც. მე ყველაფერს, რაც კი ბუხმაიერმა წარმოსთქვა, ვემოწმები. თუ კი საჭიროა იმისი დამტკიცება, შეგიძლიანთ წარადგინოთ ეს დამამტკიცებელი საბუთი, ბატონო მსაჯულო. მე გახლავართ სამოცდა-თხუთმეტის წლისა და ოცი წელიწადი გამიტარებია მამასახლისობაში. არა, ჩვენ არა ვართ ბავშვები და არც ბავშვურად ვიქცევით. მე არ გავშორდები ამ ჩემს ნაჯახს, ვიდრე ცოცხალი ვარ. თუ უნდა მივიღო რამე სასჯელი, მე მზადა ვარ.

— ჩვენცა, ჩვენცა!—შესძახეს ერთ-ხმივ ყველამ. მათე ყველაზე მომეტებულს ჰყვიროდა. ბუხმაიერს გაუნათლდა პირი-სახე. იმან მოსჭიდა მაგრად მარჯვენა ხელი ნაჯახს და ჩაიხუტა გულში.

ამას შემდეგ საქმემ უმაღლესს მთავრობამდი მიაღწია. მთავრობამ საქმე გამოიძია, ზოგი მოწინააღმდეგენი დასაჯა, მაგრამ ეს მსაჯული რელინგსიც გადააყენა სამსახურიდგან და იმისი ბრძანება გააუქმა.

გურგენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდს რომ გაუვლია დაღესტანში ამ დროს, უნახავს ქართველების ეკლესია ყიზლარის ახლოს. შემდეგ რიცხვი ქართველებისა გამრავლებულა, ტფილისის აოხრების შემდეგ აღა-მაჰმად-ხანის მიერ.

გარდა ამ პოლიტიკურის მიზეზისა, ქართველთა აქ გადმოსახლებას აქვს თავისი სოციალური და ეკონომიური საბუთიცა. როგორც საბერძნეთის კოლონიები, ისე ჩრდილოეთი კავკასია გამხდარა საცხოვრებელ ადგილად იმ ქართველთათვის, რომელნიც ვერ მოთავსებულან სამშობლოში. უკმაყოფილება ძმებთან და ნათესავებთან, სურვილი გამდიდრებისა, ან სასჯელის და სახელმწიფო ხარჯის თავიდგან აცილებისა იმის მიზეზი იყო, რომ ქართველები ეძებდნენ ტკბილსა და მშვიდს ცხოვრებას სამშობლოს გარეთ. ამ გადმოკარგულს ადამიანებს უთვის-ტომოს და უნათესაოს ეძახდნენ ბოიდაღებს (რუსების бобыли). ქართველები შეადგენდნენ მომეტებულს ნაწილს მცხოვრებელთა ყიზლარში, მაგრამ ეხლა ოცი-ოცდა-ათი კომლი ძლივს-ღა დარჩენილა. „ქართველები ამოწყდნენო“, ამბობენ ყიზლარში, და, მართლაც ერთი ნაწილი ქალაქისა, რომელსაც «грузинскій участокъ»-ს ეძახიან, წარმოადგენს გულ-საკლავს ნაოხარს იმ ადგილისას, სადაც ოდესმე ჰყვაოდა ტკბილი ცხოვრება ჩვენთა თანამემამულეთა. ამათი ამოწყვეტის მიზეზი ის მყრალი ჰაერია, რომლის წყალობითაც, არამც თუ ქართველებისა, არამედ მთელის ქალაქის მცხოვრებლებთა რიცხვი შესამჩნევად კლებულობს: ათის წლის (1875—1885) განმავლობაში ყიზლარს დააკლდა 3,000 მცხოვრებელი და აწ 9,000 მაგიერ ითვლება 6,000 სული მთელს ქალაქში და, თუ ჰაობები არ ამოიშრო, დღენი ყიზლარისანი დათვლილნი არიან.

გარდა ქართველებისა აქ სცხოვრობენ რუსები, თათრები და სომხები. უკანასკნელნი წინად ბევრით ნაკლებნი ყოფილან. ქართველებს დიდი ზედ-გავლენა ჰქონიათ ამათზედ: კვალი კულტურულის ზედ-მოქმედებისა დარჩენილა ჩვენამდის—სომხებს დავიწყებიათ თავიანთ ენაზე სახელები მამის დისა და დედის დისა და უწოდებენ ჩვენებურად „მამიდას“ და „დეიდას“. სომხები გადმოსახლებულან დონის ნახჩევნიდამ და საქართველოდამ, მაგ. კაჭკაჭაშვილები, მიშველოვი (აზნაური მეფე ერეკლესი). წინად იმათ სუყველას ქართული ლაპარაკი კარგად სცოდნიათ, ახლა-კი სომხური ენა ქართველებშიაც ვრცელდება*), რომელთაც, საუბედუროდ, ცოტა არ იყოს, ავიწყდებათ დედა ენა, და წერა-კითხვა ხომ სრულებით არ იციან. ორმა თუ სამმა კაცმა იცის ქართული წერა-კითხვა და დანარჩენებმა ან სულ არ იციან, ან მარტო „სტამბას“, ესე იგი დაბეჭდილს კითხულობენ.

ყიზლარში ქართველებს აუშენებიათ ერთი მონასტერი და ორი ეკლესია—წმინდა გიორგისა და წყარო ცხოვრებისა. მონასტერის ბიბლიოთეკაში წიგნები და ქაღალდები გავსინჯე, და აღმოჩნდა რომ მონასტერი აუშენებია ქართველთა არხიმანდრიტს დოსითეოს 1735 წელსა. ამ მონასტერსა აქვს ბევრი გუჯრები, რომელიც უბოძებია რუსთა ხელმწიფეთ პეტრეს, ანნა'ს, ელისაბედს, ეკატერინეს და სხვ. ერთის აქტიდამ სჩანს, რომ აქ ერთად ცხოვრება უთხოვნიათ ჩვენს გადმოსახლებულს ეპისკოპოსებს იოანნეს და იოსებს. „ეს ქაღალდი იმათ შეეხებათ“, მოუწერია ვიღასაც ქართულად ხელი 1749 წლის ქაღალდზე ეს ეპისკოპოზები ყოფილან იოანნე მანგლელი და იოსებ სამებელი. ამ ეპისკოპოზებს ეძლევათ ნება გამოისყიდონ ტყვენი ქართველთა ლეკებისაგან და დაასახლონ ყიზლარის გარეშემო. აი კიდევ სხვა წყარო ქართველთა გამრავლებისა ჩრდილოეთ კავკასიაში. ამ მონასტერში და ეკლესიაშიაც დარჩენილა ყველა ქართული წიგნები, რომელნიც საჭირონი არიან წირვა-ლოცვისათვის. ბევრს ახსოვს ახლაც ის დრო, როცა წყარო ცხოვრების ეკლესიაში წირვა-ლოცვა ქართულადა ყოფილა. მონასტერის ბიბლიოთეკაში ვნახე სხვათა შორის ერთი წიგნი, რომელიც «ივერიაში» უკვე მოხსენებული იყო. „Исторія Георгинская о юношѣ князѣ Амилахваровѣ съ краткимъ прибавленіемъ исторіи тамошней земли отъ начала до нынѣшняго вѣка, которую разсказываетъ Усимъ, купецъ Анатолійскій, Переведено на русскій языкъ И. С. Спб. 1779 г. портретъ кн. Амилахварова 1756 г. 20 октября. საეკკლესიო წიგნები მომეტებულ ნაწილად დაბეჭდილია ვახტანგ მეფის მიერ გამართულ სტამბაში.

დასასრულ მოვიყვან ორიოდე ლექსს, რომელიც ჩავწერე ქ. ყიზლარს. ეს ლექსები მითხრა ბ-ნმა ბასიაშვილმა, რომელმაც ამ უკანასკნელ დროს ისწავლა „სტამბის“ კითხვა. ჩამომავლობით იგი ხელოსნის შვილია, დაუმთავრებია სამაზრო სასწავლებელი და აწ მსახურობს საქალაქო საბჭოში. ახლა 43 წლისაა. ჯერ მომიყვა ვეფხის-ტყაოსნიდამ, რომელიც იმას არც წაუკითხავს და არც თვალით უნახავს. ბ-ნ ბასიაშვილი ამბობს, რომ წინად მეტი ვიცოდი და ახლა-კი დამავიწყდაო. აი ის ლექსებიც:

ტარიელა, დაგვსვი ვეზირად,
სიტყვა შენ გაგაბზრობინე,
გიყვარდა ნესტან დარეჯან,
რატომ არ შემატყობინე.

—

არც შენ მოგცემ, არცა სხვასა,
ხუროებსა დავიბარებ;
კიდობანს შევაკვრევინებ,
შიგ ჩავსვამ ნესტან-დარეჯანს,
წყალს მივცემ წავაღებინებ.

—

კოშკი მონა მიდიოდა,
თავსა მიიცემდა ქვასა.

—

წყლისა პირსა მოუმე ვნახე,
დამტირალი ჭკვადა გმირსა,
ვეუბნე და არ მეუბნა,
ხელი აითვარა პირსა,
ხელთ ეჭირა შავი რაში
ედემი და ლომი გმირსა.
საყვარელი დაჭკარგოდა,
არ უხსნიდა დანა პირსა.

—

ვაჟო ვინ ხარო, ვინ ხარო,
შენი სახელი გვითხარო;
მოდი ბატონი გეძახის,
მისი ლაშქარი შენ ხარო.

—

ვისაც ვირი არა ჰყავდა,
აქლემი მოეგვარაო.
მინდორშია კოშკსა არის,
მას გარეშემო თასები,
ახლო მომიდექ, მიჯნურო,
შორით არ დაგეფასები.
გაჯავრდა ტარიელია,
გაყარა ცეცხლის ალია,
კაცი კაცსა ჰკრა, მთა მთასა.
(დანარჩენი დავიწყებია)

—

ამირან, გაალე-გაალეო,
მუხლად გაქებდნენ მალეო,
შაშნი, შუშნი და არაბნი
ცხენზე სხდებოდნენ მალეო.
სუბუქი ჯარი წავიდა,
თან წაუვა ჯაბახანაო;
გოგშუტის მთაზე ავიდნენ,
იქ აზათ ხანი მდგარიყო.
აღლებმა შექმნეს ჩუჩული,
გუშინ ერეკლეს სმა იყო.

—

ერეკლე წირვას დადგაო,
ღმერთს მუხლი მოუყარაო,
მიდგნენ და ასე გაათვეს,
როგორც ნამგალმა ყანაო,
გაიქცა მაღლი აზათხან,
თან ვერ წაიღო ბარგიო,
თქვეს, გურჯი ხართ და რას მოგვდევთ,
თქვენი რა მიგვაქვს თანაო,
რაც მქონდა, მანდვე დავყარე,
ბარგი და ჯაბახანაო.
ის კახელებმა იშოვეს,
გაიყვეს ფარა-ფარაო...

◆

უცხოეთი

გერმანია. აი რა პასუხი მისწერა მეორე დღეს გერმანიის რეიხსტაგმა თავის იმპერატორს ვილჰელმ მე-II-ეს სიტყვის გამო:

„გერმანიის ერი დიდის მწუხარებით ჰგლოვობს თქვენ უდიდებულესობასთან ერთად გარდაცვალებასა იმპერატორის ფრიდრიხისას. გერმანიის ერმა იცოდა, რომ ფრიდრიხის ბრძნულს მეფობაში სამკვიდრებელი დაუვიწყარის ვილჰელმ I-ისა ერთგულსა და ღირსეულს კაცს ჰქონდა ხელში, რომ კეთილდღეობა ერისა დამკვიდრდებოდა მაშინ მშვიდობიანის შრომითა და წარმატებითა. მაგრამ უფალმა სხვაფრივ განაგო. რამდენისამე თვის მეფობის შემდეგ, იმპერატორი ფრიდრიხი აღსრულდა და მასთან ერთად განჰქრა ის იმედებიცა, რომელიც იმაზედ დავამყარეთ. ხოლო ხსოვნა მისი არ აღმოიფხვრება ჩვენის ერის გულიდამ და იმისი მეფობა საუკუნოდ გვეხსომება ჩვენცა და ჩვენს შვილიშვილთაცა. ჩვენ არასოდეს არ დავივიწყებთ, რომ იგი ბრძენი მეფე მუდამ ჟამს მზა იყო თავი გაეწირა მოვალეობისათვის, არ დავივიწყებთ იმის გულადობას, მის მამაცობას თუ ჯაფასა და თუ ავადმყოფობაში. სიხარულით მოვისმინეთ სიტყვები თქვენის უდიდებულესობისა, რომ თქვენ გწადიანთ დაადგეთ იმავე გზას, რომელსაც ადგა თქვენი პაპა, ვილჰელმი, იმავე გზას, რომელზედაც სიარულმა მოუპოვა მიცვალებულს იმპერატორს ერთგულება თანამოკავშირე სახელმწიფოთა, სიყვარული გერმანიის ერისა, პატივისცემა და თანაგრძნობა უცხო სამეფოთა. თქვენს უდიდებულესობას ჰსურს დაიცვას ჩვენი კონსტიტუცია, წარმატება მისცეს ჩვენს კანონ-მდებლობას, ამ საფუძველს ერის ბედნიერებისას, და განსაკუთრებით უფრო გწადიანთ მფარველად ექმნათ დაჩაგრულთა და სუსტთა, დაიცვათ უფლება და კანონი. რეიხსტაგი მზად არის ხელი მოგცეთ ამ საქმეში და არავითარი ღონის-ძიებას არ დაიშურებს თქვენთა განზრახვათა განსახორციელებლად. იმედიცა გვაქვს, რომ უზენაესი თავის მოწყალებას არ მოგაკლებთ. თქვენო უდიდებულესობავ, თქვენ განზრახვა გაქვთ დაემყაროთ კავშირს, რომლის ერთგულება უკვე ნაცადი გვაქვს, და ისე გაუწიოთ სარჩლი მშვიდობიანობას იმ დრომდე, ვიდრე გაჭირება თავს არ მოახვევს ჩვენს ქვეყანას ომსა და ბრძოლას. თქვენ ზრუნავთ ჯარისა და მხედრობისათვის, იმიტომ-რომ კვლავ დაიბრუნოთ, კვლავ აღადგინოთ მშვიდობიანობა, თუ ვინიცობაა დაარღვია ვინმე. გერმანიის რეიხსტაგი სულითა და გულით თანამგრძნობელია თქვენი ამ საქმეში და მოსწონს კიდეც ასეთი განზრახვა თავის იმპერატორისა. ჩვენ არ შევდრკებით არავითარის მსხვერპლის წინაშე, თუ ამ მსხვერპლს მოითხოვს უვნებლობა ჩვენის სამშობლოსი; ჩვენ დავამტკიცეთ კიდეც საქმით ესეთი ჩვენი სურვილი, როცა კენჭი ჩამოვუტარეთ და ერთ-ხმად შევიწყნარეთ ის, რაც მოგვთხოვა ნეტარ-ხსენებულმა პაპა თქვენმა, ვილჰელმ პირველმა. მტკიცედ-კი ვართ მაინც დარწმუნებულნი, რომ მშვიდობას გაერთიანებულის გერმანიისას არავინ არ შეაშფოთებს. ინებოს უფალმა, რომ ბედნიერება მივანიჭებინოსთ სამშობლოსათვის! მაღალმა ღმერთმა გაცოცხლოთ და გაბედნიეროთ მრავალ-ჟამიერ. აკურთხოს და დაიცვას მან თქვენი სახელი და გერმანია!“

წვრილი ამბები

იმპერატორ ფრიდრიხის გარდაცვალების შემდეგ იმპერატრიცა ვიქტორიას მიუღია თავისის დედისაგან და აგრეთვე იტალიის მეფე მარგარიტისა და ისპანიის დედოფლის ქრისტინესაგან შემდეგი დეპეშები:

ვინდზორიდგან:

„შენმა მეუღლემ თავისთან ერთად სამარეში თან წაიღო მთელის ჩემის ცხოვრების ღიმილი.

ვიქტორია.“

რომიდგან:

„როცა ყველანი სტირიან და ჰგლოვობენ, ერთის ადამიანის მწუხარება კლებულობს. მოითმე გული, რადგან შენთან ერთად მთელი ქვეყანა ჰგლოვობს.

მარგარიტა.“

მადრიდიდგან:

„ცა უწყალოდ გვპურობს: ამ რამდენისამე წლის წინად ალფონსი და ფრიდრიხი, ორივენი ახალგაზდანი, ჯანსაღნი, ერთად ისხდნენ ჩემს სახლში, და ეხლა-კი ორივენი გარდაცვლილნი არიან.

ქრისტინე“.

— ჩინეთის მთავრობას ნება დაურთავს ჩინეთურს ენაზედ შექსპირის გადათარგმნისა. ამ უკვდავის თხზულების გადათარგმნა მიუნდვიათ პეკინის სიანლინისათვის (მეცნიერებათა აკადემიას).

— ციურიხის სასაფლაოს შუა ადგილას ჰმართავენ თურმე გარდაცვალებულთა დასაწვავს შენობას.

— ს. გალლენში (შვეიცარიაშია) ამას წინად მოსულა ორი ასირებული ადამიანი. ერთია იოჰან გუტცეიტი, 35 წლისა, ხოლო მეორე მეიერ ვალტლი, 37 წლისა. ტანზედ გუტცეიტს რაღაც მატყლის წამოსასხამი აცვია, ფეხებზედ უბრალო ხის ფეხ-საცმელები აცვია, თხილამურებისთანა. ხელები ტიტველა აქვს მხრებამდე. იმისი ამხანაგი ვალტლიც სწორედ ასეა თურმე ჩაცმული. ორივე მგზავრნი დადიოდნენ ქუჩა-ქუჩა, ხელში ხილი ეჭირათ და სიტყვებს ამბობდნენ. სცდილობდნენ დაერწმუნებინათ დიდ-ძალი უკან მიმდევარი ხალხი, რომ თავი დაანებეთ სულელურს წაბაძვას, მოდას და ყველამ ჩვენსავით ჩაიცვით, ჩვენსავით მხოლოდ მცენარეულობით ისაზრდოვეთო. პოლიციამ ყურადღება მიაქცია ამ ხალხს, ქაღალდები გაუსინჯა და რადგან მოწმობანი კანონიერი ჰქონდათ, ორივემ არხეინად განაგრძო თურმე მოგზაურობა.

— დანიის გაზეთს „Danske Avis“-ს შემდეგი ამბავი მოჰყავს გულადობისა და მამაცობისა: რინგკიბინგში (იუტლანდიაში) გაუმართავთ ამას წინად ელმონიდის გამოჩენილი მხეცთა საჩვენებელი. მეორე წარმოდგენაზედ უთამაშნია ერთს ყმაწვილს კაცს, 18 წლისას, ჯონ სურაშს, წარმოსადეგსა და ბრგე ტანისას, და გაუკვირვებია მთელი იქ მოყრილი საზოგადოება. სურაში პირველად შესულა ერთს ყაფაზაში, რომელშიაც ერთად დამწყვდეულნი ყოფილან ორი დათვი, ორი ავთარი, ვეფხი და მგელი და დაუწყია ამათი გაწვრთნა, ახტუნებ-გადახტუნება. ყველა მხეცები უგონებდნენ თურმე მხეცთა დამამშვიდებელს და ყოველსავე ბრძანებას უსრულებდნენ, მარტო მგელი იღრინებოდა და ადგილიდგან არ იძროდა. სურაშმა წკეპლა დაჰკრა მგელსა. გაბრაზებული ნადირი ეცა მხეცთა დამამშვიდებელს. საზოგადოებაში ყველას ზიზის ზარი დაეცა, ქალებს გულები წაუვიდათ. ამასობაში სურაშმა გონება არ დაიბნია თურმე, დაავლო ურჩს კისერში ხელი, ყაფაზის მეორე კუთხეში მიაწყვიტა, ხოლო თითონ-კი მაშინვე გამოვიდა. ამ გმირს მგელთან ბრძოლაში მარტო რამდენიმე ადგილი აღმოაჩნდა გულთან გაფხაჭნილი. რამდენისამე წუთის შემდეგ გულადი მხეცთა დამამშვიდებელი შევიდა მეორე ყაფაზაში და ოთხი ახალგაზდა ლომი ათამაშა. ამას რომ მორჩა, სურაში, თუმცა ყველანი წინააღმდეგნი იყვნენ, კვლავ შევიდა პირველს ყაფაზაში და უფრო მეტად გაბრაზებული მგელი ისე დაიმორჩილა, რომ ყველაფერს აკეთებინებდა, რასაც-კი უბრძანებდა. ამ დროს მთელს საზოგადოებას გული უძგერდა შიშით და წუთით წუთზე ელოდდა ყმაწვილის კაცის გაფათრებას. საბედნიეროდ, წარმოდგენამ მშვიდობიანად ჩაიარა და ხელ-შეუხებლად, დაუშავებლად გამოსულს მხეცთა დამამშვიდებელს საზოგადოება დიდის მოწონების ძახილით და ვაშ ვაშით მიეგება თურმე.

◆◆

გასართობი

ერთს ამერიკელს რეპორტიორს ცუდი ამბავი დამართებია, ისეთი ცუდი ამბავი, რომ იძულებულ გამხდარა თავი დაენებებინა ყველაფრისათვის: ერთის ქალაქიდგან გახიზნულა მეორე ქალაქში სულ ერთის უბრალო შეცდომის გულისათვის. საქმე იმაში გახლავთ, რომ ამ ვაჟბატონს ვიღაც მდიდარის კაცის მიერ გამართული ბალი აუწერია და უქია სილამაზე, ჭკუა, მორთულობა და სხვა ღირსებანი დიასახლისისა. ერთის სიტყვით, გაზეთის თანამშრომელის თხზულება ძალიან საქები ყოფილა დიასახლისისათვის, ხოლო... უეცრად—ოჰ, ღმერთო, ჩვენც დაგვიფარე ამისთანა განსაცდელისაგან!—საიდგანაც გამომტყვრალა შეცდომა, კორრექტურული შეცდომა. აღწერაში იმას მაგივრად, რომ დაწერილი ყოფილიყო, 24 წლისაა დიასახლისიო, რიცხვებს ადგილი უცვლიათ, 2 გადამდგარა 4-ის

---

*) არიან ქართველთაგან გვარნი, რომელთაც მიუღიათ გრიგორიანის სარწმუნოება: დიდებულიძეები, მიშველეშვილები. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ წინად მართლ-მადიდებელ მღვდლის უქონლობის გამო მიჰმართავდნენ ხოლმე სომხის ტერტერს ბავშვის მოსანათლად და აქედგან წარმოსდგა იმათი გასომხება.

ალაგას, 4 კიდევ 2-ის ალაგას და გამოსულა, რომ დიასახლისი 42 წლისააო. თუმცა ამაში დამნაშავე ის საბრალო რეპარტიორი-კი არა ყოფილა, არამედ ასოთ-ამწყობი, მაინც ადგილობრივნი მკვიდრნი ძალიან გაგულისებულან და გამწყრალან რეპარტიორზე, აღარ მიუკარებიათ და ისე გაუჭირებიათ საწყალის ადამიანისათვის საქმე, რომ გადახიზნულა იმ ქალაქიდგან.

**

მაინის ფრანკფურტში, თუ მეტად არა, ნაკლებ სასაცილო ამბავი არ მომხდარა, ქალებისათვის, რასაკვირველია. ვიღაც იქაურს მცხოვრებელს თხოვნა შეუტანია, რომ განმაქორწინეთ ჩემს ცოლთან, რადგან, როგორც აღმოჩნდა ჯვარ-წერის შემდეგ, კარგად, ზრდილობიანად და წესიერად ლაპარაკი და ბაასი არა სცოდნიაო. სასამართლოს განუხილავს ეს საქმე, ზემოხსენებული მიზეზი განქორწინებისათვის საკმაო მიზეზად უცვნია, რადგან წესიერად ლაპარაკის უცოდნელობა დიდი ნაკლია და შეიძლება ამ ნაკლის გამო მთელს ოჯახში ყოველ დღე ჩხუბი და აურზაური იყოს ატეხილიო.

იმავე მაინის ფრანკფურტში მეორე ქმარი კიდევ იმიტომ გაჰყრია ცოლსა, რომ საჭმელების მოხარშვა და მომზადება არ იცისო. მოსამართლეთაც შეუწყნარებიათ ქმრის საჩივარი და განქორწინების ნება მიუციათ. გაზეთები ამბობენ, რომ ამისთანა მიზეზთა გამო განქორწინება იშვიათი ამბავი არ არის გერმანიაშიო.

ქალებს ყველა ქვეყნისას, რა თქმა უნდა, ასეთი ქმრები სასაცილოებად, სულელებად ეჩვენებათ, ხოლო ჩვენ-კი, ცოდვილებს, ასე არა გვგონია. დარწმუნებულნი ვართ, რომ ის ქალბატონები, რომელთაც საჭმელების მზადება და წესიერად ლაპარაკი არა სცოდნიათ, მშვენივრად იქმნებოდნენ გამოწყობილნი და გამოშალტულნი, უშველებელი ტიურნურები ექმნებოდათ და სხვა სამკაული მორთულობისა. განა არა სჯობდა, რომ იმათს ტარებასა ოჯახისათვის მართლა მოსახმარი საქმე ესწავლათ: საჭმელების მზადება და წესიერად ლაპარაკი.

◆◆

დეპეშა

22 ივნისი

ვარშავა. დიდმა მთავარმა ვლადიმერ ალექსანდრეს ძემ მეუღლითურთ ინახულა დილის ათს საათსა და ნახევარზე წყლის მილის სადგური, საქსონიის ბაღი და წავიდა პეტერბურგის ვოგზალზე; აქედგან თორმეტს საათზე და ოცს წამზე წავიდა ნოვო-გიორგიევსკში; თან ახლა გენერალ-გუბერნატორი გურკო. იმათ უდიდებულესობათა დაათვალიერეს ნოვო-გიორგიევსკის ციხე; შემდეგ წაბრძანდებიან ივანგოროდში, მერე—ბრესტ-ლიტოვსკში, სადაც იმათთვის გამართული იქნება სადილი.

ბერლინი. ერთს გაზეთში დაბეჭდილია ამბავი, ვითომ ბელგრადის სინოდმა დაადგინა განაქორწილოს მეფე მილანი და იმისი მეუღლე დედოფალი ნატალია.

23 ივნისი

პეტერბურგი. გამოცხადებულია ცირკულიარი ფინანსთა მინისტრისა სააქციზო გამგეობათა მართველთადმი. ამ ცირკულიარში მოხსენებულია ის წესი, რომლითაც შესაძლოა გასასყიდად გამოტანა არყისა და სპირტის ქარხნების სარდაფებიდგან აქციზის გადახდამდე. ცირკულიარში განმარტებულია ზოგიერთი მუხლი 25-ს მაისის 1888 წ. კანონისა.

პეტერბურგის ბირჟა, 21 ივნისი

	მიმღეველისა.		გამყიდველისა.		გაყიდულისა.	
	მან.	კ.	მან.	კ.	მან.	კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო	—	„	—	„	8	42
ტამოჟნის კუპონები	—	„	—	„	168¼	
მანათიანი ვერცხლის ფული	—	„	—	„	1	35
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	—	„	—	„	274	
—მეორისა	—	„	—	„	248	
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა	—	„	—	„	—	„
ქუთაისის ბანკისა	—	„	—	„	—	„
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	—	„	—	„	—	„

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ(1888)წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

თიბათვე 30 დღით არის.

24 დღე პარასკევი. დაბადება იოანე ნათლის-მცემლისა. კათოლ. დაბადება იოანე ნათლის-მცემლისა. სომეხ. მარხვაა. ნახატონაქი. მუსულმ. მე-26 რიცხვი თვისა შევვალესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 8—31, ჩადის 7—37. მთვარე 28 დღისაა.

25 დღე შაბათი. წამება თებრონიასი და დავითისა. კათოლ. ეპისკ. პროსპერისა. სომეხ. წმ. გრიგოლ განმანათლებელის ხაროდგან ამოყვანება. მუსულმ. მე-27 რიცხვი თვისა შევვალესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 4—32, ჩადის 7—37. მთვარე 29 დღისაა.

26 დღე კვირა. წინასწარმეტყ. დავითისა. კათოლ. იოანესი და პავლესი. სომეხ. ეჩმიაძინის საკათედრო ეკლესიის დღესასწაული. მუსულ. მე-28 რიცხვი თვისა შევვალესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 4—32, ჩადის 7—36. მთვარე 30 დღისაა და ამოდის 4—44.

27 დღე ორშაბათი. ღირსისა გრ. მთაწმინდელისა. კათოლ. ვლადისლავისა სომეხ. მოგონება იმ 14,000 ყმაწვილისა, რომელნიც ბეთლეემს იქმნენ ამოხოცილ. მუსულ. მე-29 რიცხვი თვისა შევვალესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—დაარსებულ იქმნა კავკასიაში რუსეთის საგეოგრაფიო საზოგადოების განყოფილება, 1850 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 4—34, ჩადის 7—36. დაბადება მთვარისა დილის 4 საათსა და 27 წუთზედ. მთვარე არ გამოჩნდება.

28 დღე სამშაბათი. წმ. იოანესი და კიროსისა. კათოლ. ლევან მე-II. სომეხ. წმ. ქალწ. ნინოსი და მარიამისა. მუსულ. 1-ლი რიცხვი თვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5. ტფილისში მზე ამოდის 4—35, ჩადის 7—36. მთვარე 2 დღისაა.

29 დღე ოთხშაბათი. წმ. მოციქულთა პეტრესი და პავლესი. კათოლ. იგივე. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-2 რიცხვი თვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5. ტფილისში მზე ამოდის 4—35, ჩადის 7—35. მთვარე 3 დღისაა.

30 დღე ხუთშაბათი. კრება თორმეტთა მოციქულთა. კათოლ. ქალწ.-მოწ. ლიუციანესი. სომეხ. წამ. სააკისა და იოსებისა. მუსულ. მე-3 რიცხვი თვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ქუთაისში შემოღებულ იქმნა საქალაქო დებულება, 1875 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5. ტფილისში მზე ამოდის 4—36, ჩადის 7—35. მთვარე 4 დღისაა.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ივნისიდამ 1 ივლისამდე

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა.	3 ›
„ 2 „	2½ „
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	5 „
„ „ 2—	3½ „
„ „ 3 „	3
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა	5 „
მე-2 ხარისხისა	4 „
მე-3 —	„ „
მროხის ხორცი	8 „
„ 2 „	7 „
სუკი	14 „
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	8 „
ღორის ხორცი	„ „
„ 2 „	„ „

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით, ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, ბანკის ქარვასლაში, №101.

მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

სტანციები	მოდის		გადის		სტანციები	მოდის		გადის	
	საათი.	წამი.	საათი.	წამი.		საათი.	წამი.	საათი.	წამი.
	დილით					დილით			
ტფილისი	—	—	8	49	ბათუმი	—	—	8	4
ავჭალა	9	9	9	11	ქობულეთი	8	54	8	57
მცხეთა	9	32	9	40	ნატანები	9	25	9	29
ქსანი	10	03	10	05	სუფსა	9	55	10	2
კასპი	10	33	10	36	ლანჩხუთი	10	35	10	39
გრაკალი	0	59	11	1	ნიგოითი	10	51	10	53
გორი	11	25	11	40	საჯავახო	11	14	11	16
ქარელი	12	08	12	11	სამტრედია	11	33	11	51
გომი	12	37	12	41	კოპიტნარი	12	13	12	16
ხაშური	11	02	1	17	რიონი	12	47	1	2
სურამი	1	29	1	32	აჯამეთი	1	15	1	18
ფონი	2	—	2	03	ყვირილა	1	58	2	10
ბეყათუბანი	2	56	3	16	ძირულა	2	48	2	50
მარელისი	3	45	3	48	ბელაგორი	3	17	3	20
ბელაგორი	4	15	4	18	მარელისი	3	47	3	49
ძირულა	4	45	4	48	ბეყათუბანი	4	18	4	37
ყვირილა	5	26	5	40	ფონი	5	30	5	34
აჯამეთი	6	14	6	16		საღამოთი			
	საღამოთი				სურამი	6	2	6	5
რიონი	6	29	6	44	ხაშური	6	17	6	32
კოპიტნარი	7	08	7	10	გომი	6	50	6	54
სამტრედია	7	29	7	49	ქარელი	7	16	7	19
საჯავახო	8	05	8	07	გორი	7	44	7	54
ნიგოითი	8	27	8	30	გრაკალი	8	15	8	17
ლანჩხუთი	8	42	8	46	კასპი	8	40	8	43
სუფსა	9	19	9	27	ქსანი	9	7	9	9
ნატანები	9	52	9	55	მცხეთა	9	28	9	34
ქობულეთი	10	22	10	25	ავჭალა	9	52	9	54
ბათუმი	11	13	—	—	ტფილისი	10	15	10	46

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათზედ და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევის 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

	დღისით					ღამით			
ტფილისი	—	—	3	21	სურამი	—	—	2	59
ავჭალა	3	46	3	49	ხაშური	3	11	3	27
მცხეთა	4	19	4	25	გომი	3	50	3	55
ქსანი	4	49	4	52	ქარელი	4	24	4	31
კასპი	5	24	5	29	გორი	5	4	5	19
გრაკალი	6	—	6	3	გრაკალი	5	46	5	51
	საღამოთი					დილით			
გორი	6	31	6	45	კასპი	6	18	6	24
ქარელი	7	18	7	24	ქსანი	6	55	6	59
გომი	7	53	8	1	მცხეთა	7	24	7	32
ხაშური	8	54	8	38	ავჭალა	7	55	7	58
სურამი	8	50	—	—	ტფილისი	8	24	—	—

განცხადებანი

მმართველობა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა ამით აცხადებს, რომ 20 ივლისს 1888 წლისას, დილის 12 საათზედ, ბანკის სადგომში დანიშნულია საჯაროდ გასყიდვა უძრავის მამულისა, რომელიც ეკუთვნოდა თავ. კონსტანტინე როსტომის ძეს, ნიკოლოზს, გიორგის, მიხეილს და მართა დიმიტრის ძეთა და სალომე პანტელეიმონის ასულს შალიკოვებს. ეს მამული დარჩა ბანკს, რადგან ვაჭრობა მისი არ შესდგა 3 ივლისს 1887 წელს. მამული იმყოფება ტფილისის გუბერნიასა და გორის მაზრაში, სოფელ სკრას. მამულში არის სახნავ-სათესი მიწები, სათივე, საბალახე ადგილები, ხეხილიანი ვენახები, წისქვილი და შენობანი. მამულის ზომა არის 1513 დესეტინა 614 ოთხ-კუთხი საჟენი. თავნი ვალი აქვს ამ მამულს 31,496 მან. 8 კაპ., შემოსატანი 5484 მან. 81 კაპ., სულ 36 980 მან. 89 კაპ. (1—1)

დაიბეჭდა ახალი საყმაწვილო

წიგნი

ხუთი ამბავი,

ან. თუმანიშვილისა.

ფასი სამი შაური.

ისყიდება ტფილისში: ჩარკვიანის მაღაზიაში და „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში, ქუთაისში—ჭილაძეების მაღაზიაში, გორში—ცხვედაძის მაღაზიაში და სხვა ქალაქებში-კი კერძო კაცებთან. იქვე ისყიდება „მოლაღური“. (10—9)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

	მან.	კაპ.
ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან	,,	40
ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ	,,	15
სწორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, ზ. კვიცარიძისა	›	40
ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ.	1	50
II ნაწ.	1	50
ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა	„	15
ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა	„	40
ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ	,,	30
ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა	,,	50
საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც.	3	,,
სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე)	3	50
საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა	,,	20
ოტელო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ	,,	50

Доз. ценз. Тифлисъ, 23-го Іюня 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Гол. просп. д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე